# სიკვდილით განკურნება

ჯეიმზ დაშნერი

2015-10-06




**ჯეიმზ დაშნერი**

ინგლისურიდან თარგმნა **ნინო შეყილაძემ**
რედაქტორი **ლალი ჭინჭარაული**
კორექტორი **ნატალია ჩიმაკაძე**

პროექტის მენეჯერი **თინათინ ფეიქრიშვილი**
დიზაინერი **ეთო გზირიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **ლევან კოღუაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **დათო მოსიაშვილი**

Originally Published as The Death Cure by James Dashner
Text Copyright © 2011 by James Dashner
Cover art copyright © by Philip Straub
All rights reserved.

**© გამომცემლობა პალიტრა L, 2015**
ყველა უფლება დაცულია

## რას ფიქრობს Liberteens ამ წიგნზე?

Liberteens თინეიჯერების ჯგუფია, რომელიც კითხულობს და არჩევს მათ თაობაში თანამედროვე, პოპულარულ უცხოურ ლიტერატურას, რომელსაც შემდგომ გამომცემლობა პალიტრა L ქართულ ენაზე გამოსცემს.

ჯეიმზ დაშნერის «სიკვდილით განკურნება» სწორედ მათი არჩეული წიგნია.

«ლაბირინთში მორბენლის» ტრილოგიის პირველი და მეორე ნაწილების კითხვისას ყველა მოვლენის თანამონაწილე ვიყავი — ვბრაზობდი, ვიბრძოდი, გავრბოდი, ვტიროდი, მიხაროდა წიგნის გმირებთან ერთად. «სიკვდილით განკურნება» ტრილოგიის სტანდარტული ფინალი არ არის. ყველა საიდუმლო ბოლომდე არ გაიხსნება, ყველა კითხვასაც არ გაეცემა ზუსტი პასუხი. თუმცა, პერსონაჟები და მოვლენები თავგადასავალის დასრულების შემდეგაც აგრძელებენ მკითხველთან ურთიერთობას.

**ბაია, 17 წლის**

«სიკვდილით განკურნებას» ალბათ ყველაზე ამაღელვებელი, ემოციურად დატვირთული და საიდუმლოებებით სავსე სიუჟეტი აქვს ტრილოგიის წიგნებს შორის. ბევრ სიახლეს გაიგებთ თქვენთვის კარგად ნაცნობი პერსონაჟების შესახებ, რომელთაგან ზოგი გულს გატკენთ, ზოგიც გაგაოცებთ, მაგრამ მაინც ბოლომდე მიჰყვებით დაშნერის თხრობას და ამოხსნით «უკეთურის» საიდუმლოს.

**თაია, 19 წლის**

კორდელები ლაბირინთსა და ცეცხლით გამოცდას გადაურჩნენ, ახლა კი ლევარებისგან უნდა იპოვონ გადარჩენის გზა. ჯეიმზ დაშნერს არც თავისებური ინტრიგები დავიწყნია. ამიტომ, კარგად მოკალათდით და მოემზადეთ დაძაბული, მრავალფეროვანი და სიყვარულით აღსავსე სიუჟეტის წასაკითხად, რომელიც მეგობრობისა და სიძულვილის ბეწვის ხიდზე გადის.

**გოგა, 15 წლის**

გილოცავთ, თქვენ ხელთ გაქვთ ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიო ბესტსელერი! წიგნი, რომელიც წამითაც არ მოგადუნებთ, გაგრძნობინებთ თავს უშიშარ შენქად, გაჩვენებთ, რას ნიშნავს ნამდვილი მეგობრობა და გამოიწვევს თქვენში ემოციურ აფეთქებას.

«სიკვდილით განკურნება» სავსეა მოულოდნელი მომენტებით და ამით ტრილოგიის სხვა წიგნებისგან განსხვავდება. უბრალოდ, წაიკითხეთ და ისიამოვნეთ.

**სერგი, 16 წლის**

## ჯეიმზ დაშნერის „სიკვდილით განკურნება“ - მსოფლიო გამოხმაურება

**New York Times**-ის ბესტსელერი

**USA Today**-ის ბესტსელერი

**Book Sense**-ის ბესტსელერი

**Kirkus Reviews**-ის მიხედვით, წლის საუკეთესო წიგნი მოზარდთათვის

**ALA-YALSA**-ს მიხედვით, ფანტასტიკის ჟანრში ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი მოზარდთათვის

გაყიდულია 10 მილიონზე მეტი ეგზემპლარი!

თარგმნილია 40 ენაზე!

*** * ***

*წიგნი ეძღვნება დედაჩემს —*
*ამქვეყნად საუკეთესო ადამიანს.*

## თავი 1

თომასს ნელ-ნელა ჭკუიდან შლიდა სუნი. არც სამკვირიანი მარტოობა, არც თეთრი კედლები, ჭერი ან იატაკი, არც უფანჯრობა და არც ის, რომ ოთახში შუქს არ აქრობდნენ, არამედ სუნი. საათიც წაართვეს; დღეში სამჯერ ზუსტად ერთსა და იმავე კერძებს აჭმევდნენ: ღორის ნაჭერი, კარტოფილის პიურე, ცოცხალი სტაფილო, პურის ნატეხი და წყალი. არც არავინ ელაპარაკებოდა და არც ოთახში უშვებდნენ ვინმეს. არც წიგნები, არც ფილმები და არც ვიდეოთამაშები.

სამკვირიანი იზოლაცია — რასაკვირველია, თუ ინტუიციით დრო სწორად გამოთვალა. ჭამის დროის დახმარებით ცდილობდა, გამოეცნო, როდის ღამდებოდა და მაშინ იძინებდა, თუმცა, ეჩვენებოდა, რომ საჭმელი სხვადასხვა დროს მოჰქონდათ. ბიჭს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავგზას განგებ უბნევდნენ.

მარტოობა. რბილკედლებიან უფერო ოთახში თომასი სრულიად მარტო იყო. ოთახის ერთ-ერთ კუთხეში პატარა, უჟანგავი ფოლადის უნიტაზი იყო მიმაგრული და ძველისძველი ხის საწერი მაგიდა იდგა. თომასი ამ მაგიდას არც ეკარებოდა. აუტანელ სიჩუმეში, როცა დროს არსად ეჩქარება, მოზარდი ფიქრობდა საკუთარ სხეულში ღრმად ფესვგადგმულ დაავადებაზე — ელვარების ვირუსზე, რომელიც ნელ-ნელა გეპარება და ადამიანის სახეს გიკარგავს.

მაგრამ საკუთარი დაუბანელი სხეულის მყრალ სუნზე მეტად არაფერი აგიჟებდა. ბიჭს ნერვები სიმებივით ჰქონდა დაჭიმული და ღამის ჭკუიდან შეშლილიყო.

არც შხაპის და არც აბაზანის მიღების უფლება არ მისცეს. ოთახში არც ახალი ტანსაცმელი დახვედრია და არც ჰიგიენური საშუალებები, რომ თავის მოვლა შესძლებოდა. პატარა ტილოც ეყოფოდა, სასმელი წყლით დაასველებდა და სახეს მაინც გაიწმენდდა... ისევ ძველი ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეცვა. ოთახში საწოლიც კი არ ჰქონდა. ხშირად ზეზეულად თვლემდა, ხანდახან კი ოთახის კუთხეში მოკუნტული და სიცივისგან აცახცახებული ხელებს იღლიებქვეშ ითბობდა.

თომასი ვერ ხვდებოდა, ასე რატომ აშინებდა საკუთარი დაუბანელი სხეულის მყრალი სუნი. იქნებ, ეს იყო პირველი სიმპტომი იმისა, რომ უკვე გაგიჟდა. სიბინძურე ბიჭის გონებაზე მოქმედებდა და თომასს თავში ათასი შემაძრწუნებელი აზრი მოსდიოდა — თითქოს ლპებოდა, ნელ-ნელა იხრწნებოდა,... თითქოს შინაგანი ორგანოები უმძაღდებოდა.

რაც უნდა სისულელე ყოფილიყო, თომასს სწორედ ეს ადარდებდა. საბედნიეროდ, არც შიოდა და არც სწყუროდა; კარგად ისვენებდა და ამ ერთ ციცქნა ოთახში, როგორც შეეძლო, ვარჯიშობდა კიდეც. ხანდახან ერთ ადგილზე საათობით ხტოდა. თომასს გონება ჰკარნახობდა, რომ დაუბანლობას მის გულსა და ფილტვებთან საერთო არაფერი ჰქონდა, თუმცაღა, საკუთარი თავი დააჯერა, რომ მის სხეულში სიკვდილი ჩასახლებულიყო და მალე მთლიანად დაეპატრონებოდა.

ამ შავბნელმა ფიქრებმა დააეჭვა — იქნებ, ტერეზა მართალი იყო, ბოლო საუბრისას რომ უმტკიცებდა, თითქოს ეღვარებას აგრესიულ თომასში ფესვები ღრმად გაედგა და მისი შველა შეუძლებელი იყო; რომ ის ჭკუიდან მანამდე შეიშალა, სანამ ამ საშინელ ოთახში გამოამწყვდევდნენ. თომასი ბრენდამაც კი გააფრთხილა, რომ მალე ყველაფერი უარესად იქნებოდა. იქნებ, ორივე მართალი იყო.

მეგობრებზე ფიქრიც არ აძლევდა მოსვენებას. რა დაემართათ? სად იყვნენ ახლა? რას უშვრებოდა ეღვარება მათ გონებას? ამდენი გადაიტანეს და ნუთუ ყველაფერი ასე უნდა დამთავრებულიყო?

თომასს სიბრაზისგან გული ყინვაში დარჩენილ მშიერ ვირთხასავით აუკანკალდა. სიბრაზე დღითი დღე ემატებოდა. ერთი-ორჯერ შეამჩნია, რომ თავს ვეღარ ერეოდა და სიბრაზე თანდათან მრისხანებად ექცეოდა. ძალა მოიკრიბა და გრძნობები მოთოკა, თუმცა — დროებით. სიბრაზის საბოლოოდ განდევნა არც უცდია — იცოდა, რომ საჭირო დროსა და ადგილას მისი გამოყენება აუცილებელი იქნებოდა. მათი უბედურების თავიდათავი **უკეთური** იყო. მას და მის მეგობრებს ცხოვრება სწორედ **უკეთურმა** აურია. ისინი მათ თავიანთი გაურკვეველი მიზნებისთვის იყენებდნენ და შედეგებზე სულაც არ დარდობდნენ.

მაგრამ ისინი ამისათვის პასუხს აგებდნენ. თომასი ამას დღეში ათასჯერ მაინც ჰპირდებოდა საკუთარ თავს.

მისი აზრით, თეთრ ოთახში პატიმრობის ოცდამეორე დილა იყო. კედელს მიყრდნობილი იჯდა და კარს უცქერდა, რომლის წინაც ხის უბადრუკი საწერი მაგიდა იდგა. ყოველდღე ასე იქცეოდა: საუზმისა და ვარჯიშის შემდეგ დაჯდებოდა და კარს იმ იმედით მიაშტერდებოდა, რომ გაიღებოდა, თანაც ისე ღრიჭოდ კი არა, როგორც საჭმლის შემოცურებისას აღებდნენ, არამედ — ფართოდ.